ქ. თბილისი 04.05.2022

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა №66. კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის, არქიტექტურული ნაწილების შესახებ

1. ექსპერტიზის სახეობა

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილების ექსპერტიზა.

2. ვაჟა ბერიძე, ექსპერტი

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ინსპექტირების ორგანო, ინსპექტირება ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირება ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის კონფიდენციალურობაზე.

3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი

ინსპექტრიების (ექსპერტიზის) სახეობა	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა
ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიცირება	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი დავარის ქუჩა №66; ს/კ: 01.72.14.037.308
ინსპექტირების ჩატარების თარიღი	01.05.2022 – 04.05.2022
ინსპექტირების სახეობა, სამუშაოს აღწერილობა	ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, დავარის ქუჩა №66-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.72.14.037.308) დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, არქიტექტურული პროექტის ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, შესაბამისობის დადგენა.
მომხმარებლის იდენტიფიკაცია	1. სევდა ხალიფოვა 2. პ/ნ: 24001005262 3. ტელეფონი: 577 77 42 89
ინსპექტირების ობიექტის მესაკუთრე	საკუთრება: სევდა ხალიფოვა
ექსპერტიზის შემსრულებელი	ექსპერტი არქიტექტორი: ვაჟა ბერიძე
ინსპექტირების შედეგები ეხება	მხოლოდ იმ ობიექტს, რომელსაც ჩაუტარდა ინსპექტირება

დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

დამკვეთის, სევდა ხალიფოვას (პ/ნ:24001005262) მიერ, პროექტის არქიტექტურული ნაწილების ექსპერტიზის ჩატარების მიზნით წარმოდგენილი იქნა, როგორც ნაბეჭდი (1 ალბომი), ასევე (pdf ფაილი) ელექტრონული ვერსიის სახით. ქ. თბილისი, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა №66-ში მდებარე კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენელი არქიტექტურული ნაწილი, შედგენილი ბ-ნი ბესიკ გაბათაშვილის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემადგენლობა:

ფურც. №	დასახელება
01	განმარტებით ბარათი
02	ტოპო გეგმა მ. 1:500
03	გენ-გეგმა მ. 1:500
04	„შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზი
05	სართულის გეგმა -3,250 ნიშნულზე მ. 1:100
06	სართულის გეგმა ±0,00 ნიშნულზე მ. 1:100
07	სართულის გეგმა +3,65 ნიშნულზე მ. 1:100
08	სართულის გეგმა +6,80 ნიშნულზე მ. 1:100
09	სართულის გეგმა +9,95 ნიშნულზე მ. 1:100
10	სართულის გეგმა +13,10 ნიშნულზე მ. 1:100
11	სართულის გეგმა +16,25 ნიშნულზე მ. 1:100
12	სახურავის გეგმა +19,40 ნიშნულზე მ. 1:100
13	ჭრილი 1-1 მ. 1:100
14	ჭრილი 2-2 მ. 1:100
15	ფასადი 1-4 ღერძებში მ. 1:100
16	ფასადი 4-1 ღერძებში მ. 1:100
17	ფასადი დ-ა ღერძებში მ. 1:100
18	ფასადი ა-დ ღერძებში მ. 1:100
19	გარე კედლების დეტალიზაცია მ. 1:20
20	კიბეების დეტალიზაცია მ. 1:50
21	არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები
22	ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები

პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

პროექტი მოიცავს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა №66-ში, სევდა ხალიფოვას კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.72.14.037.308) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას თანამედროვე გეგმარების პრინციპებისა და შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი (1100 კვ.მ) ფუნქციური ზონის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 5-ში(სზ-5) და სატრანსპორტო ზონაში, თუმცა სატრანსპორტო ზონა არის 54 კვადრატული მეტრი, რის გამოც იგი კოეფიციენტის ანგარიშის დროს უგულებელყოფილია. კოეფიციენტები შემდეგნაირადაა განსაზღვრული: სზ-5-სთვის: კ-1=0,5, კ-2=2,1, კ-3=0,3, ხოლო სატრანსპორტო ზონას კოეფიციენტები არ გააჩნია. მიწის ნაკვეთი ხასიათდება სწორი რელიეფით. მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვარი გააჩნია ჩრდილოეთით და დასავლეთით არსებული გზების მხრიდან. შესაბამისი უწყებების მიერ ტერიტორიაზე სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების დადგენის დროს განისაზღვრა რამდენიმე მარეგულირებელი ხაზი, კერძოდ, ნაკვეთის სამხრეთის და დასავლეთის საზღვრიდან განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი საპროექტო შენობის განთავსებისთვის, ნაკვეთის ჩრდილოეთის საზღვრიდან განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი გზის პერსპექტიული განვითარებისთვის, ნაკვეთის ჩრდილოეთის საზღვრიდან ასევე განისაზღვრა განაშენიანების სავალდებულო ლურჯი ხაზი ქუჩის სწორხაზოვანი მოშენების ჩამოსაყალიბებლად. ტერიტორიას სამხრეთის საზღვართან დაუდგინდა უკანა ეზო. საპროექტო შენობა იცავს და აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ რეგულირების ხაზებს. საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარებისას ასევე გათვალისწინებულია ტროტუარისთვის და ტერიტორიაზე შესასვლელ-გამოსასვლელის მოწყობისთვის დასათმობი ტერიტორიის ნაწილიც.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

საპროექტო წინადადებით და დამკვეთთან შეთანხმებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უნდა განთავსდეს ნაკვეთის შუა ნაწილში ისე, რომ განაშენიანების რეგულირების ხაზების და ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის (სატრანსპორტოსა და საცხოვრებელ ზონას შორის) მოთხოვნები დაცული იყოს.

შენობა ორიენტირებული იქნება საზოგადოებრივი გზების მხარეს. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს 6 სართულიან შენობას სარდაფით. შენობაში განთავსდება ავტოსადგომი, კომერციული ფართები და საცხოვრებელი ბინები. მიწისქვეშა სართულზე განთავსდება ავტოსადგომი 8 მანქანაზე. პირველ სართულზე განთავსდება კომერციული ფართები და 2 საცხოვრებელი ბინა. დანარჩენ სართულებზე განთავსდება საცხოვრებელი ბინები, რომელთაც ექნებათ დამოუკიდებელი გათბობა კონდიცირების აგრეგატები. საპროექტო შენობაში უშუალოდ საცხოვრებელი ფუნქციის კ-2 საანგარიშო არის 1606 კვ.მ, რომლისთვისაც ყოველ 180 კვ.მ-ზე განსაზღვრულია 1 ავტოსადგომი, რაც ჯამში შეადგენს 9 ადგილს, რომელთაგან ერთიც მოეწყობა მიწის ზევით, ტერიტორიაზე, დანარჩენი კი, როგორც უკვე ითქვა მიწისქვეშა სართულზე. მიწისქვეშა სართულზე ავტომობილებით მოხვედრა შესაძლებელია საავტომობილო პანდუსით, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მისთვის დადგენილ ნორმას. შენობის ბრტყელი გადახურვა იქნება არაექსპლუატირებადი. პროექტირებისას ასევე დაცულია სამეზობლო მიჯნის მოთხოვნები, რაც

გულისხმობს ღიობების მოწყობას სამეზობლო საზღვრიდან დაშორებისა და მაქსიმალურ დასაშვებ სიმაღლეზე მოწყობის მიხედვით.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობა დაფუძნებულია მონოლითურ რკინა ბეტონის ფილაზე. შენობის მზიდი კონსტრუქციები წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასს, რომლის შემავსებლად გამოყენებული იქნება წვრილი სამშენებლო ბლოკი. შენობის ფასადების ნაწილი მოპირკეთდება მოსაპირკეთებელი აგურით და მოსაპირკეთებელი ქვით, დარჩენილი ნაწილი შეილესება დეკორატიულად ქვიშა ცემენტის ხსნარით ე.წ. მიუნხენური ლესვით (მაღალი ხარისხის ცემენტის გამოყენებით) და შეიღებება მაღალი ხარისხის საღებავებით რამდენიმე ტონალობაში (იხილეთ ფასადები). ეზო მოპირკეთდება და გამწვანდება.

ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. ექსპერტიზის შესრულების პროცესში გამოყენებული იქნა:
    - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება: ,,ტექნიკური რეგლამენტის - ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“;
    - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კვლევითი ნაწილი

დამკვეთის, სევდა ხალიფოვას (პ/ნ:24001005262) მიერ, მოთხოვნილია, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა №66-ში მდებარე კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენელი არქიტექტურული ნაწილის ექსპერტიზა ,,ტექნიკური რეგლამენტის - ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოთხოვნათა შესაბამისად.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დაკავებულობების კლასიფიცირებას მე-3 თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 301-ე ქვეთავის მოთხოვნებს. პროექტში გამოყენებულია სამი სახის დაკავებულობა, კერძოდ, სასაწყობო ჯგუფი (სწ-2), საცხოვრებელი ჯგუფი (სც-2) და სავაჭრო ჯგუფი.

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1. სართული -3.25 ნიშნულზე: სასაწყობო ჯგუფი 2 (ავტოსადგომი) 2. სართული ±0,00 ნიშნულზე: სავაჭრო ჯგუფი და საცხოვრებელი ჯგუფი 2 (კომერციული ფართები და საცხოვრებელი ბინები) 3. 2-6 სართულები: საცხოვრებელი ჯგუფი 2 (საცხოვრებელი ბინები)

ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო დამკავებელზე	
სივრცის დანიშნულება	**დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი**
სასაწყობო ჯგუფი 2	18,6 მთლიანი
საცხოვრებელი 2	18,6 მთლიანი
სავაჭრო	2,8 მთლიანი

კონსტრუქციის ტიპების შეფასება

პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობა შეესაბამება I-B კონსტრუქციის ტიპს და შენობის ელემენტები (გარე და შიდა მზიდი კედლები, სართულშუა გადახურვები, შენობის გადახურვა) აკმაყოფილებს 601 ქვეთავს.

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის:	I-B

სიმაღლის და ფართობის შეფასება

საპროექტო შენობის ტექნიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე: სიმაღლე მიწის დონიდან ზემოთ არის 22.45 მ. (დასაშვები 48,8 მ.). შენობის სართულიანობა დაკავებულობების მიხედვთ შესაბამისია *წესებთან.* ერთ სართულზე მაქსიმალური შემოთავაზებული ფართობები ასევე შესაბამისობაშია *წესებთან* . ვინაიდან შენობა წარმოადგენს I-B კონსტრუქციის ტიპს ის სრულად აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები სართულიანობა**	**შემოთავაზებული სართულიანობა**
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	**11**	1
2. სავაჭრო ჯგუფი	**11**	1
3. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	**11**	6
	დასაშვები სიმაღლე (მ)	**შემოთავაზებული სიმაღლე**
შენობის სიმაღლე =	**48.8**	**19,40 მ.**
მიწის დონის ზემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა =	**6**	
მიწის დონის ქვემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა =	**1**	

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
სართულების მიხედვით	**დასაშვები ფართობი (სართულზე)**	**მაქსიმალური შემოთავაზებული ფართობი(სართულზე)**
-1 სართული (სასწყობო ჯგუფი - 2)	**7340**	375,6 კვ.მ
1-6 სართულები (საცხოვრებელი ჯგუფი - 2)	**შეუზღუდავი**	2506,6 კვ.მ
ყველა სართულის ფართობების ჯამი =	**2882,2 კვ.მ**	
იატაკების რაოდენობა =	**მიწის დონი ქვემოთ 1** **მიწის დონის ზემოთ 6**	

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლების ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით და ღიობების დაცვის ხარისხი განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705,8 ცხრილს. 602 და 601 ცხრილების მიხედვით გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია.

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი**	**ცეცხლმედეგობის ხარისხი**(საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
1-4 ღერძებში	> 9 მ.	2[1]	2	აუცილებელი არ არის	აუცილებელი არ არის	შეუზღუდავი	-	-	-
4-1 ღერძებში	> 9 მ.	2[1]	2	აუცილებელი არ არის	აუცილებელი არ არის	შეუზღუდავი	-	-	-
ა-დ ღერძებში	8,2 მ.	2[1]	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	70%	0	0	30%
დ-ა ღერძებში	3,7 მ.	2[1]	2	45%	45%	15%	0	0	12%

[1] 601 ცხრილის მიხედვით.

სახურავის ანაწყობის შეფასება

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. სახურავის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ის წარმოადგენს რკინაბეტონის ფილას რომელიც აკმაყოფილებს 601 ცხრილის მოთხოვნებს, რომელიც ასევე აკმაყოფილებს 601 ცხრილის მოთხოვნებს.

705.11.1 ქვეთავის მიხედვით პარაპეტი უნდა იყოს მინიმუმ 76 სმ სიმაღლის, რაც უზრუნველყოფილია 1.1 მ. სიმაღლის პარაპეტით.

1509.2.2 ქვეთავის შესაბამისად სახურავზედა ნაგებობები საყრენი სახურავის ფართობის 1/3-ზე ნაკლებია.

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

წესების 903-ე თავის შესაბამისად საპროექტო მთლიან შენობაში არაა სავალდებულო ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა. 903.2.8 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას. 903.2.7 ქვეთავის მიხედვით სავაჭრო ჯგუფიც არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას. 903.2.10 ქვეთავის მიხედვით შემოზღუდულ ავტოსადგომში საჭიროა ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა, ვინაიდან იგი მდებარეობს სხვა ჯგუფების ქვემოთ. რაც უზრუნველყოფილია საპროექტო შენობაში.

წესების 905.3.1 ქვეთავის მიხედვით საპრეოქტო შენობაში საჭიროა სახანძრო მილდგარის განთავსება, ვინაიდან ყველაზე მაღალი სართული იატაკის დონე 9,0 მ-ით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. საპროექტო შენობა უზრუნველყოფილია სახანძრო მილდგარების სისტემით და ისინი განთავსებულია *წესებით* განსაზვრულ ადგილებში.

წესების 906.1 ქვეთავის მიხედვით ხელის ცეცხლმაქრები საჭიროა მხოლოდ სვ და სწ-2 დაკავებულობებში, სც-2 დაკავებულობაში კი საჭირო არაა. რაც უზრუნველყოფილია საპროექტო შენობაში.

წესების 907.2.7 ქვეთავის მიხედვთ სვ-ში საჭირო არ არის სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა. 907.2.9. ქვეთავის მიხედვით სც-2-ში საჭიროა სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა რაც უზრუნველყოფილია საპროექტო შენობაში, კვამლზე მორეაგირე მაუწყებლებით, კვამლაღმოჩენებით და ხმოვანი და მხედველობითი განგაშის სისტემებით.

წესების 907.2.18. ქვეთავის მიხედვით, ვინაიდან ხდება შემოზღუდული ავტოსადგომის მექანიკური განიავება, საჭიროა იქაც მოეწყოს ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი, რაც უზრუნველყოფილია საპროექტო შენობაში.

წესების 912 თავის შესაბამისად საპროექტო შენობასთან გამოყოფილია სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

ლიფტის შახტა აღჭურვილია დაწნევის სისტემით, რის გამოც მის წინ ფოიეს მოწყობის აუცილებლობა აღარ არის.

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/ სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა, კვამლაღმოჩენი და ცეცხლაღმოჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
სწ-2	კი	არა	კი	კი	მექანიკური განიავება, კვამლაღმომჩენი	კი	სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა
სვ	არა	არა	არა	კი	ბუნებრივი განიავება	კი	არა
სც-2	არა	არა	კი	კი	კვამლზე მორეაგირე მაუწყებელი, კვამლაღმომჩენი	არა	სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა
გასასვლელი გზა კიბე	არა	არა	არა	კი	ბუნებრივი განიავება	არა	არა
ლიფტი	არა	არა	არა	არა	დაწნევის სისტემა	არა	არა
დერეფანი	არა	არა	კი	კი	კვამლაღმომჩენი	არა	სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				კი			

გასასვლელთან მისადგომების, გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

წესების მე-10 თავის 1004 ქვეთავის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვის გამოთვლის შემდეგ დადგინდა, რომ შენობაში არის სც-2, სწ-2 და სვ ტიპის დაკავებულობები. 1021.2(1) ცხრილის მიხედვით ვინაიდან შენობის თითოეულ სართულზე განთავსებულია 6 ბინა, თითოული სართულიდან შენობას უნდა ჰქონდეს მინიმუმ ორი გასასვლელი, რაც უზრუნველყოფილია გზა კიბეებითა და გზა კარებებით. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური მანძილი არის 18.7 მ. რაც აკმაყოფილებს 1016,2 ცხრილის მოთხოვნებს.

წესების მე-10 თავის 1015.2.1 ქვეთავის პირველი გამონაკლისის შესაბამისად ორ გზა-კიბეს ერთმანეთთან აკავშირებს 1018 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონდე დერეფანი, შესაბამისად +3.65-დან +16.25 ნიშნულის ჩათვლით საცხოვრებელ სართულებზე გზა-კარებებს შორის მანძილი იზომება დერეფნის გასწვრივ, რის შედეგადაც იგი აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნას და შენობის დიაგონალური ზომის ნახევარზე მეტი მანძილით აშორებს გზა-კარებებს ერთმანეთთან.

რაც შეეხება მიწისპირა სართულს (±0.00 ნიშნულზე) *წესების* მე-10 თავის 1015.1 ცხრილის მიხედვით სვ დაკავებულობას სჭირდება 2 გზა-კარი ვინაიდან დაკავებულობის დატვირთვა მეტია 49-ზე, სვ დაკავებულობაში განსაზღვრულია 3 გზა-კარი, რომლებიც პირდაპირ გადის შენობიდან. ხსენებული სამი კარებიდან ორი ერთმანეთთან დაშორებულია სვ დაკავებულობის დიაგონალური

ზომის ნახევარზე მეტად, რაც წესებთან თანხვედრაშია. იგივე სართულზე (±0.00 ნიშნულზე) სც დაკავებულობაში, სც-ს ჯამური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 6-ს, რაც ნაკლებია 1015.1 ცხრილის მოთხოვნაზე, კერძოდ 10-ზე, შესაბამისად ამ სივრცეებს არ სჭირდება ორი გზა-კარი. რაც შეეხება უშუალოდ შენობიდან გამოსასვლელ გზა-კარებებს, ისინი ერთმანეთთან დაშორებულია სართულის დიაგონალური ზომის ნახევარზე მეტად.

მიწისქვეშა სართულზე (-3.25 ნიშნულზე) სწ-2 დაკავებულობაში დაკავებულობის დატვირთვა არის 16, რაც ნაკლებია *წესების* მე-10 თავის 1015.1 ცხრილის მოთხოვნაზე, კერძოდ 29-ზე. შესაბამისად აღნიშნული სივრციდანაც არაა საჭირო ორი გზა-კარის არსებობა და შესაბამისად მათ შორის მანძილი შესაძლებელია არ იყოს დიაგონალურ სივრცის ნახევარზე მეტი.

მიწისქვეშა სართულზე დახურულ ავტოსადგომში კიბის უჯრედებთან და ლიფტის შახტასთან მოწყობილია ტამბურები დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

შენობიდან გამოსასვლელები აკმაყოფილებენ *წესების* 1027 ქვეთავის მოთხოვნებს, ორივე გზა-კიბიდან უშუალოდ შენობიდან გამოსასასვლელამდე მოწყობილია *წესების* 1023 ქვეთავის შესაბამისი გზა-დერეფანი. სვ დაკავებულობიდან კი გასასვლელები გადის პირდაპირ შენობის გარეთ. ასევე ყველა შენობიდან გამოსასვლელი დაკავშირებულია საზოგადოებრივ სივრცესთან.

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება

გასავლელი გზა-კიბეები, დერეფნები და გზა-კარების ზომები აკმაყოფილებენ *წესების* მოთხოვნებს. მაქსიმალური დაკავებულობის ჯამური მაჩვენებელი თითოეულ საცხოვრებელ სართულზე მაქსიმუმ არის 14, სასაწყობო ჯგუფ 2-ში დაკავებულობის დატვირთვა არის 16, ხოლო სავაჭრო ჯგუფში დაკავებულობის დატვირთვა არის 65. გასასვლელის ყველა კომპონენტი უზრუნველყოფს დაკავებულობების დატვირთვით განსაზღვრულ მინიმალურ სტანდარტებს.

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე(მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-3,25 ნიშნულზე	სწ-2 დ.დ 16	2	2 (გზა-კიბე)	1,1	1,12	-	-	0,82	0,9
±0,00 ნიშნულზე	სვ, დ.დ 65	2	3 (გზა-კარი)	-	-	-	-	0,82	1,5
±0,00 ნიშნულზე	სც-2 დ.დ 6	1	1 (გზა-კარი)	-	-	1,2	1,7	0,82	1,3
დანარჩენ სართულებზე	სც-2 დ.დ 17 (მაქსიმალური ერთ სართულზე)	2	2 (გზა-კიბე)	1,1	1,12	1,2	1,5	0,82	0,9

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობების ტიპების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (ცხრილი 1602.1)

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა-სასაწყობო და საქმიანი ჯგუფები ცხრილი 1602.1-ის მიხედვით										
სართულები	ფიქსირებული მოწყობილობები									
	უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		წყლის დასალევი		სამომსახურო ნიჟარა	
	დაბინძურებული	დასუფთავებული	დაბინძურებული	დასუფთავებული	დაბინძურებული	დასუფთავებული	დაბინძურებული	დასუფთავებული	დაბინძურებული	დასუფთავებული
+0,00 ნიშნულზე სვ ჯგუფი	1	1	1	1	0	0	1	1	1	1
დანარჩენ სართულებზე	1	1	1	1	1	1	0	0	1	1

მისაწვდომობის შეფასება

წესების 1104.1 ქვეთავის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისაწვდომი სვლაგეზი მისაწვდომი ავტოსადგომიდან, რაც უზრუნველყოფილია შენობაში ლიფტების საშუალებით.

წესების 1104.5 ქვეთავის მიხედვით, მისაწვდომი სვლაგეზი უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს, რაც ასევე გათვალისწინებულია საპროექტო დოკუმენტაციაში.

წესების 1105.1 ქვეთავის მიხედვით, შენობაში შესასვლელების 50% უნდა იყოს მისაწვდომი, საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ეს უზრუნველყოფილია საპროექტო შენობაში.

წესების 1106.1 ცხრილის მიხედვით, მისაწვდომი ავტოსადგომების აუცილებელი რაოდენობა გათვალისწინებულია.

წესების 1106.5 ქვეთავის მიხედვით, საჭიროა მოკროავტობუსის ავტოსადგომის მოწყობა, რაც უზრუნველყოფილია მიწისქვეშა სართულზე.

წესების 1107.6.2 ქვეთავის მიხედვით, შენობაში საცხოვრებელი ერთეულების 2% და არანაკლებ 1 ბინა არის ,,ა“ ტიპის ხოლო დანარჩენი ბინები ,,ბ“ ტიპის.

შენობაში არსებული ლიფტი აკმაყოფილებს მისაწვდომი ლიფტის შესაბამის მინიმალურ ზომებს.

პროექტში უზრუნველყოფილია 2 მისაწვდომი გზა-კიბე.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

შენობის თითოეული ნაწილი ინდივდუალურად არის კლასიფიცრებული 508 ქვეთავის შესაბამისად, სხვადასხვა დაკავებულობებისთვის მოთხოვნილი ცეცხმლედეგი გამმიჯნავები, სწორად არის გამოყენებული გეგმაზე 508.4 ცხრილის შესაბამისად.

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის - ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიოტრიაზე მოქმენ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომოწდებელი მხარე, სევდა ხალიფოვა (პ/ნ:24001005262).
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება *წესებში* *გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების** მიხედვით. *წესებით** განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

* საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“

ექსპერტიზის დასკვნა

სევდა ხალიფოვას (პ/ნ:24001005262), მიერ, წარმოდგენილი ქ. თბილისი, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა №66-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.72.14.037.308) დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის დოკუმენტაციის დამუშავების მოქმედი ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ მოწოდებული სახით ობიექტის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. **„ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების** მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტის არქიტექტრულ ნაწილს ეძლევა **დადებითი** რეკომენდაცია.

ხელმომწერი:

ექსპერტი: ვაჟა ბერიძე



ქ. თბილისი 04.05.2022

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა №66. კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის, არქიტექტურული დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებასთან ,,ტექნიკური რეგლამენტი - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“

1. ექსპერტიზის სახეობა

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილების ექსპერტიზა.

2. ვაჟა ბერიძე, ექსპერტი

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ინსპექტირების ორგანო, ინსპექტირება ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირება ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის კონფიდენციალურობაზე.

მისაწვდომი სვლაგეზი

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე- 4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სავაჭრო თაროებს შორის), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.



- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის ლიფტები აკმაყოფილებს სატნდარტების 407 ქვეთავის მოთხოვნებს ლიფტები, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 407 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად).

ადგილის და შენობის ელემენტები

საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 16.6 სმ, 17.0 სმ და 17.4 სმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 280 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.
- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.
- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.
- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.
- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.
- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.
- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები

საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებეულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.
- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასოგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

• ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები

- დახლის ყველა ნაწილი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე.
- სალაროს დახლის ზედაპირის სიმაღლე შეესაბამება 904.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები

საპროექტო შენობაში მისაწვდომი ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს,

კერძოდ:

მისაწვდომი ერთეული:

საპროექტო შენობაში ,,ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული განთავსებულია ±0,00 ნიშნულზე, ასეთი ტიპის ერთეულის რაოდენობა შეადგენს მთლიანი საცხოვრებელი ერთეულების 2%-ს.

,,ა“ ტიპის საცხოვრებელ ერთეულში უზრუნველყოფილია სტანდარტებით განსაზღრული მოსატრიალებელი სივრცეები, კარებთან არსებული თავისუფალი სივრცეები, ტუალეტებიც ასევე შეესაბამება სტანდარტებს, სამზარეულოც შეესაბამება სტანდარტებს.

დანარჩენი საცხოვრებელი ერთეულები არის ყველა ,,ბ“ ტიპის და მათი ცალკეული ნაწილებიც ასევე შეესაბამება სტანდარტებს, ბინებში უზრუნველყოფილია 900 მმ მისაწვდომი სვლაგეზი, კარებებთან უზურნველყოფილია თავისუფალი სივრცეები, ტუალეტები შეესაბამება სტანდარტებს და მოწყობილია ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ,,ა“ ტიპისთვის გადაკეთება. სამზარეულოს წინ ყველა ბინაში უზუნრველყოფილია სტანდარტებით განსაზღვული თავისუფალი სივრცე.

ექსპერტიზის დასკვნა

სევდა ხალიფოვას (პ/ნ:24001005262), მიერ, წარმოდგენილი ქ. თბილისი, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა №66-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.72.14.037.308) დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის დოკუმენტაციის დამუშავების მოქმედი ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ მოწოდებული სახით ობიექტის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. **“ტექნიკური რეგლამენტის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილების** მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტის არქიტექტრულ ნაწილს ეძლევა **დადებითი** რეკომენდაცია.

ხელმომწერი:

ექსპერტი: ვაჟა ბერიძე



georgia IDENTITY CARD GEO
საქართველო
მოქალაქის პირადობის მოწმობა



სახელი / FIRST NAME
ვაჟა
VAJA
გვარი / LAST NAME
ბერიძე
BERIDZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მ / M	01024011310

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
28.01.1956	16.09.2024

ბარათის No / CARD No
13IG93581

ხელმოწერა
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
16.09.2014
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამამზადებელი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2014
No 26-3184

IDGE013IG9358160102401131O<<<<
5601284M2409168GEO<<<<<<<<<<<3
BERIDZE<<VAJA<<<<<<<<<<<<<<<<<

დიპლომი

Г-I № 199234

ეს დიპლომი მიეცა ვაჟა ოთარის ძე ბერიძეს

მასზე, რომ იგი 1973 წელს შევიდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1978 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1978 წ. „4" ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ო. ბერიძეს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1978 წ. „29" სექტემბერი

სარეგისტრაციო № 01904

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Г-I № 199234

Настоящий диплом выдан Беридзе Важе Отариевичу

в том, что он в 1973 году поступил в Грузинский политехнический институт им. В. И. Ленина

и в 1978 году окончил полный курс названного института

по специальности Архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1978 г.

Беридзе В. О.

присвоена квалификация Архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „29" сентября 1978 г.

Регистрационный № 01904

Московская типография Гознака. 1976.

სახელი, გვარი: ვაჟა ბერიძე

დაბადების თარიღი: 28.01.1956

მისამართი: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა #18ა, ბინა 50

საკონტაქტო ტელეფონი: 599935021

სამუშაო გამოცდილება:

1999 წლიდან - დღემდე - შ.პ.ს. ,,დიზაინსტუდია“, დირექტორი

განათლება:

1973-1978 წ.წ. - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი

პროექტები:

1. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის №23 ამხანაგობა ,,ფრანცია - 2003“, საცხოვრებელი სახლი
2. ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. №65-67, 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
3. ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. №61, 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
4. ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. №61, 6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
5. ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №10ა, 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
6. ქ. თბილისი, ჩახრუხაძის ქ. №2, 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
7. ქ. თბილისი, ჩახრუხაძის ქ. №4, 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
8. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, რესტორანი ,,მონოპოლი“.
9. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი, წმინდა გიორგის სახელობის ძეგლის პოდსტამენტი
10. მემორიალური კომპლექსი ,,საქართველოს მატიანე“ თბილისის ზღვის მიმდებარედ
11. ქ. ბათუმი, ერას მოედანი, მედეას ძეგლის პოდსტამენტი



25.07.2019

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე ვაჟა ბერიძეს (პირადი № 01024011310) მასზედ, რომ 1999 წლიდან დღემდე, ის მუშაობს შ.პ.ს. ,,დიზაინსტუდია“-ში მთავარი მენეჯერის და მთავარი არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

ვაჟა ბერიძე

შ.პ.ს. ,,დიზაინსტუდია“-ს დირექტორი